



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 2556
01/05/2018

2556-09-2-201805011250



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გთხოვთ მოიწვიოთ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა.სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 544

01/05/2018

544-09-3-201805011101



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული
და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის
უფროსს ქალბატონ მაგული კუნჭულიას
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის როლანდ ლაშხიას

დამატებითი განმარტებითი ბარათი

2017 წლის 27 დეკემბრის N2712 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებისათვის გამოეყო 3200000 ლარი აქედან I ეტაპზე 271741 ლარი მიიმართოს ფიზიკური პირების დაზიანებული სახლების სახურავების და ელ-გაყვანილობის მასალების შეძენისათვის 209415 ლარი, ჯურყვეთის ადმინისტრაციულ შენობის სახურავის შეცვლაზე 42649 ლარი, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის დაზიანებული სახურავის და ფასადის აღდგენაზე 19677 ლარი. ტენდერების შედეგად გამოთავისუფლებული 25608 ლარი და გაუნაწილებელი 2928259 ლარი, სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის 23.04.2018 წლის N472 წერილის თანახმად მიიმართოს შემდეგ პროექტებზე: გზების რეაბილიტაციაზე 1499964 ლარი, ხიდების რეაბილიტაციაზე 370736 ლარი, ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებზე 1071045 ლარი, წყალმომარაგების რეაბილიტაციაზე 12122 ლარი.

საპროექტო დოკუმენტაციის და საამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის ხარჯი გაიზარდოს 80000 ლარით. ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „იავნანა“-ს დაფინანსება გაიზარდოს 1700 ლარით, სოც:კულტურული ღონისძიებების ხარჯი გაიზარდოს 54600 ლარით, მათ შორის არტ გენის

ფესტივალის ჩატარებისათვის გამოეყოს 24600 ლარი, შემოქმედთა წახალისებისათვის 1000 ლარი და ტრანსპორტირებისათვის 1000 ლარი, გურიის ტურიზმის განვითარებისათვის 28000 ლარი. ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების, მეწარმეთა საქმიანობის ხელშეწყობის, ინვესტიციების და ტურიზმის ცენტრის სუფსიდირება გაიზარდოს 11000 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ცენტრის დაფინანსება 26 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით გაიზარდოს 11000 ლარით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის გურიას დავალიანების დაფარვის მიზნით გამოეყოს 40000 ლარი,

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 15000 ლარით (ჩიბათის საფეხბურთო გუნდის ფუნქციონირებისათვის).

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნეს არაფინანსური აქტივების კლების მუხლის 213300 ლარით ზრდის ხარჯზე.

მუნიციპალიტეტის მერიის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 5000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მივლინების ხარჯი 5000 ლარით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 2000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს მივლინების ხარჯი 2000 ლარით.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური